შპს „კონექსი"
საქართველო, ქ. თბილისი
მინდელის ქ.№3,ტელ. (+99532)2537698

„Konex" LTD
Tbilisi, Georgia
№3 Mindeli str. Tel. (+99532) 253 76 98

Web:www.konex.ge
Email:info@konex.ge
15/06/2017 №ს/დ-22

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის ქ. №7F-ში ასაშენებელი საცხოვრებელი კორპუსის მომიჯნავედ არსებულ ნაგებობებზე შესაძლო გავლენის თაობაზე

შპს „ლიტ ჯეო ინვესტი"-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „კონექსი"-ს მიერ შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის ქ. №7F-ში ასაშენებელი კორპუსის შესაძლო გავლენა მომიჯნავედ არსებულ ნაგებობებზე.

შპს „კონექსი"-ს სპეციალისტების მიერ გაანალიზებული იქნა ასაშენებელი შენობის განთავსების ტერიტორიის გენგეგმა, მისი ამგები ქანების საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები და ადგილზე შესწავლილი იქნა არსებული მდგომარეობა. ახალ შენობის განთავსების ტერიტორია დაახლოებით V ფორმისაა. დაპროექტებული შენობის სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეს განთავსებულია საცხოვრებელი კორპუსები, რომლებამდისაც უმცირესი მანძილი ერთ შემთხვევაში 10.0 მეტრია, მეორე შემთხვევაში კი 16.0 მეტრი. დაპროექტებული შენობის განთავსების ტერიტორიის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ასაშენებელი სახლის ქვაბულს ესაზღვრება სოლომონ ქურდიანის ქუჩა, რომელიც ჰიპსომეტრიულად 5.0-9.5 მეტრით მაღლაა ქვაბულის ძირზე. 2016 წელს ქვაბულის ფერდების მდგრადობის შენარჩუნების მიზნით განხორციელდა საყრდენი კონსტრუქციის მშენებლობა. (იხ. ფოტო 1 და 2).





ფოტო 1. 2. ქვაბულის საერთო ხედები

ქვაბულის ძირის და ფერდების ამგები ქანები წარმოადგენენ ნახევრად კლდოვან ქანებს –არგილითებისა და საშუალო სიმტკიცის კლდოვან გრუნტების –ქვიშაქვების დასტების მორიგეობას. დასტების განფენის სიბრტყეების აზიმუტი 350 გრადუსია, ჰორიზონტთან დახრის კუთხე კი 30 გრადუსი. ასეთი ბუნებრივი პირობების არსებობამ და გატარებულმა გამაგრებითი ღონისძიებებმა, ქვაბულის დამუშავების პროცესში, გამორიცხა რაიმე გავლენა მომიჯნავედ არსებულ ნაგებობებზე.

რაც შეეხება მშენებარე სახლზე სამონტაჟო სამუშაოების წარმოების და მისი დასრულების შემდგომ პერიოდს, ახალი სახლის გავლენა მომიჯნავე ნაგებობებზე პრაქტიკულად ნულის ტოლი იქნება, ვინაიდან იგი საძირკვლის ფილით ეფუძნება პრაქტიკულად უკუმშვად ნახევრადკლდოვან ქანებს.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ქვაბულის ასეთ მდგომარეობაში დიდი ხნით გაჩერება მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან ატმოსფერული ზემოქმედების შედეგად იგი განიცდის გამოფიტვას და სათანადოდ სიმტკიცითი მახასიათებლების დაქვეითებას. აქედან გამომდინარ საშური ხდება სარდაფის კედლების ამოყვანა და მასსა და კლდოვან ქანს შორის სივრცის ამოვსება.

ექსპერტი

კ. ოდიშარია

